



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 1134
26/12/2017

1134-09-4-201712261506



ბრძანება

ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის თემში, კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, შპს „გოდემანი“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი 23.14.36.226 და 23.14.36.265) სასტუმროს მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ

2017 წლის 24 ნოემბერს შპს „გოდემანი“-ის №8 განცხადების (მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციის №10695/09. 27.11.2017 წ.) საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის თემში, კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, შპს „გოდემანი“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი 23.14.36.226 და 23.14.36.265) სასტუმროს მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-X-ე თავით მოთხოვნილ პირობებთან.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გგამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს შპს „გოდემანი“-ის მოთხოვნა და შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტის კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი 23.14.36.226 და 23.14.36.265) სასტუმროს მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტი.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილების მე-X-ე თავით და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გურამ დეკანაძის 2017 წლის 20

დეკემბრის N4610-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვბრძანებ:

- 1) შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის თემში, კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, შპს „გოლდმაინ“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი 23.14.36.226 და 23.14.36.265) სასტუმროს მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტი;
- 2) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 3) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა N5) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა